

ქალაქ ქუთაისში, ხარეზავას ქუჩა N8 საცხოვრებელი სახლის  
N34 ბინაზე, მოქალაქე გელა გრიგოლიასათვის საკუთრების  
უფლების მინიჭებისა და მოწმობის გაცემის შესახებ

ქალაქ ქუთაისის მერიამი განხილული იქნა ხარეზავას ქუჩა N8 საცხოვრებელი სახლის N34 ბინაში მცხოვრები მოქალაქე გელა გრიგოლიას წარმომადგენლის ვიოლა გრიგოლიას განცხადება /2012 წლის 30.10 Nგ-8970/, რითაც ითხოვს საცხოვრებელ ბინაზე /მდებარე ქალაქ ქუთაისში, ხარეზავას ქუჩა N8 საცხოვრებელი სახლის N34 ბინა/, საკუთრების უფლების მოწმობის მოქალაქე გელა გრიგოლიას სახელზე გაცემას.

წარმოდგენილი მასალების, „აღიღობრივი თვითმმართველობის შესახებ“, საქართველოს ორგანული კანონის 39–ე მუხლის მე-3 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, 65<sup>2</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი /იზოლირებული და არაიზოლირებული/ ფართობის აღიღობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის N73 ბრძანებულების თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ქალაქ ქუთაისში, ხარეზავას ქუჩა N8 საცხოვრებელი სახლის N34 ბინაზე, საკუთრების უფლება მიენიჭოს მოქალაქე გელა გრიგოლიას.

2. ქალაქ ქუთაისის მერიის საბინაო ინფრასტრუქტურის მართვისა და განვითარების სამსახურმა /კ.ხვარეშია/, ქალაქ ქუთაისში, ხარეზავას ქუჩა N8 საცხოვრებელი სახლის N34 ბინაზე /საერთო ფართობი 47,08 კვ.მ, საცხოვრებელი ფართობი 27,35 კვ.მ, დამხმარე ფართობი 19,73 კვ.მ./ მოქალაქე გელა გრიგოლიას სახელზე გასცეს საკუთრების უფლების მოწმობა.

3. ბრძანების შესრულების კონტროლი განახორციელოს ქ.ქუთაისის მერის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელმა კ.რაგიანმა.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქ.ქუთაისის საკრებულოსა /რუსთაველის გამზირი N3/ და ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვიქტორ კუპრაძის ქუჩა N11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მერი

ბ.ბრეგაძე